საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
სხდომა №42

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. სტუ-ის 2010 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის პროექტის დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
2. სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის, მე-3 კურსის, №27135 ჯგუფის სტუდენტის, ვ. ბერიაშვილის განცხადების განხილვა (მომხსენებელი პროფ. გ. არაბიძე);
3. სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტის თალიკო ფირანიშვილის განცხადების განხილვა (მომხსენებელი პროფ. თ. კაიშაური);
4. მიმდინარე საკითხები:

   ა) ბაკალავრიატში სწავლის თანხის დაფარვის შესახებ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №178) – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;

   ბ) 2009/2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრის საათობრივი ანაზღაურების ნიხრების შესახებ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №180) – მომხსენებელი პროფ. გოგი აბრამიშვილი;

   გ) სტუ-ის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტისთვის სახელის შეცვლის შესახებ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №183) – მომხსენებელი პროფ. რუსუდან ქუთათელაძე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 9 დეკემბრის სხდომის
ოქმი №42

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 61 წევრიდან, ესწრებოდა 40. სხდომას უძღვებოდა სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი მიმდინარე საკითხებში დამატებებით (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. მალხაზ ხუციშვილი, პროფ. ნინო ნიკვაშვილი, პროფ. ნაზიბროლა კუციავა.

წარმოდგენილ კანდიდატურებს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერი – განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ის 2010 წლის "ბიუჯეტის შედგენის წესის" პროექტის დამტკიცება – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 1).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიუჯეტის შედგენის წესი" შემუშავებულია "უმაღლესი განათლების შესახებ", "საბიუჯეტო სისტემის შესახებ", "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონების, "საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 15 მარტის №153 ბრძანების, უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად. ბიუჯეტის შედგენის წესში, წინა წლის 2009 წლის ბიუჯეტის შედგენის წესთან მიმართებაში, რადიკალური ცვლილებები არ აღინიშნება. თუ რაიმე სახის კითხვა ან შენიშვნა გაქვთ მზად ვარ გიპასუხოთ.

პროფ. ივანე თვალავაძე – ქალბატონო ქეთევან, დიდი მადლობა ამ წლის ბიუჯეტში თანამშრომლების დაზღვევაში ჩადებული თქვენი წილის გამო. თუ გაგრძელდება იგივე 2010 წლისთვის?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – გადავხედავთ შემოსავლებს და, შესაბამისად, გავწერთ ჩვენ ნაწილობრივ ჩარევას.

პროფ. სერგო დადუნაშვილი – უნივერსიტეტებს შორის მობილობის შესაბამისად ჩვენთან გადმოვიდა და ჩვენგან გადავიდა სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა, რამდენი შემოვიდა თანხა და რამდენი გავიდა? ბიუჯეტი ხომ არ დაზარალდა?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – 15 დეკემბრისთვის ყველაფერი ზუსტად გვეცოდინება.

პროფ. აგული სოხაძე – ფაკულტეტის საბჭომ გადაწყვეტა შემოიღოს დამსახურებული მშენებლის ბერიკაშვილის სტიპენდია. მისი ოჯახი ყოველ თვე გამოჰყოფს 200 (ორას) ლარს მოწინავე სტუდენტის დასახმარებლად. სად გადმორიცხონ ეს თანხა და ვისი საქმეა ამ სტიპენდიის დანიშვნა?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – მიმართეთ აკადემიურ საბჭოს.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ეს წესი სრულად არ პასუხობს კანონს, მაგრამ რიგი ფაკულტეტები ვერ ინახავენ თავს და სოლიდარობის მიზნით ისევ საერთო ბიუჯეტს ვუშვებთ. ჩემი აზრით ყველა ფაკულტეტს უნდა შეედგინა თავისი ბიუჯეტი. ბიუჯეტის ეს წესი დროებითია.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – არამომგებიანი ფაკულტეტები სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე პრიორიტეტულია და ვერ გადავუხვევთ სახელმწიფო კურსს. ყველანაირად გვერდში უნდა დავუდგეთ არამომგებიან ფაკულტეტებს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი – 2010 წლის "ბიუჯეტის შედგენის წესი". წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 9 დეკემბრის №42 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 9 დეკემბრის №42 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ის 2010 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის პროექტის დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა სტუ-ის 2010 წლის ბიუჯეტის შედგენის წესი (იხ. დანართი 1).

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეორე საკითხზე – სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მე-3 კურსის № 27135 ჯგუფის სტუდენტის ვ. ბერიაშვილის განცხადების განხილვა – მომხსენებელი ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფ. გია არაბიძე (იხ. დანართი 2).

პროფ. გია არაბიძე – ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მე-3 კურსის № 27135 ჯგუფის სტუდენტმა ვ. ბერიაშვილმა მოგვმართა

განცხადებით, რომ უკიდურესად გაჭირვებული ოჯახიდანაა და მისი ოჯახი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა. ავადმყოფობის გამო, ვერ შეძლო გამოცდების ჩაბარება. აკადემიური საბჭოს №166 დადგენილებით, ვ. ბერიაშვილს მიეცა უფლება დარჩენილი კრედიტები აღადგინოს თანხის გადახდის გარეშე. გთხოვთ, დაამტკიცოთ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი, კერძოდ, სტუ-ის აკადემიური საბჭოს №166 დადგენილება – სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის მე-3 კურსის № 27135 ჯგუფის სტუდენტის ვ. ბერიაშვილის განცხადების თაობაზე. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 9 დეკემბრის №42 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 9 დეკემბრის №42 სხდომაზე, სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. გია არაბიძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი ამავე ფაკულტეტის III კურსის ჯგ.№27135 სტუდენტის ვ. ბერიაშვილის განცხადების თაობაზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა აკადემიური საბჭოს №166 დადგენილება, სტუდენტ ვ. ბერიაშვილს უფლება მიეცეს დარჩენილი კრედიტები აღადგინოს თანხის გადახდის გარეშე (იხ. დანართი 2).

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მესამე საკითხზე – სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტის თალიკო ფირანიშვილის განცხადების განხილვა – აღნიშნული საკითხი განსახილელად უნდა გამოეტანა პროფ. თინა კაიშაურს, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ ესწრება დღევანდელ სხდომას და საკითხს გამოიტანს ამავე ფაკულტეტის პროფესორი, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ქ-ნი ვალიდა სესაძე (იხ. დანართი 3).

პროფ. ვალიდა სესაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. არჩილ ფრანგიშვილის სახელზე შემოვიდა შემდეგი

შინაარსის წერილი: "ბატონო არჩილ, SOS- ახალგაზრდული სახლი თბილისი-I არის საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს და ახალგაზრდებს. ერთ-ერთი აღსაზრდელი თალიკო ფირანიშვილი იზრდება ჩვენ დაწესებულებაში რვა წლის ასაკიდან. ამჟამად ახალგაზრდა 19 წლისაა. გოგონამ ეროვნულ გამოცდებში დააგროვა 152,3 ქულა და ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე. სწორედ ეს სასწავლებელი და ფაკულტეტი ჰქონდა ჩაწერილი აბიტურიენტის განაცხადის (სარეგისტრაციო ანკეტა) პირველსავე პოზიციაში.

ახალგაზრდა დამოუკიდებლად ემზადებოდა გამოცდებისათვის, ჩვენ იმედი გვქონდა, რომ შეძლებდა 30 % გრანტის მოპოვებას, მაგრამ 5 ქულა დააკლდა. თანხა, რომელიც ჩვენმა ორგანიზაციამ სწავლისათვის მოიძია 1600 ლარია, 30 % სახელმწიფო დაფინანსების შემთხვევაში, რისი იმედიც გვქონდა, სწავლის ქირას (2250 ლარი) უპრობლემოდ დავფარავდით. სამწუხაროდ, გრანტის მისაღებად ახალგაზრდას 5 ქულა დააკლდა.

მოგეხსენებათ, რომ 30 % გრანტის შესაბამისი თანხაა 675 ლარი, გვაქვს მხოლოდ 1600 ლარი, სწავლის ქირის გადასახადზე გვაკლდება 650 ლარი. ჩვენი თხოვნაა, თუ შესაძლებელია გაგვიკეთოთ შეღავათი, რათა გოგონას მიეცეს სწავლის საშუალება.

გვაქვს თქვენი გულისხმიერების იმედი და ველოდებით პასუხს".

აკადემიურმა საბჭომ დაადგინა (დადგენილება №165): სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი თალიკო ფირანიშვილი გათავისუფლდეს სწავლის ქირის (2250 ლარი) ნაწილის 650 ლარის გადასახადისაგან.

გთხოვთ, გადაწყვეტილების დამტკიცებას.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტის თალიკო ფირანიშვილის განცხადების თაობაზე. წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს

2009 წლის 9 დეკემბრის №42 სხდომის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 9 დეკემბრის №42 სხდომაზე, პროფ. ვ. სესაძის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის I კურსის სტუდენტის თალიკო ფირანიშვილის განცხადების თაობაზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა აკადემიური საბჭოს №165 დადგენილება **– სტუდენტი თალიკო ფირანიშვილი გათავისუფლდეს სწავლის ქირის (ორიათას ორას ორმოცდაათი ლარი) ნაწილის, 650 ლარის (ექვსას ორმოცდაათი ლარი) გადახდისაგან (იხ. დანართი 3).**

სპიკერი – გადავიდეთ მიმდინარე საკითხების ა) პუნქტზე – ბაკალავრიატში სწავლის თანხის დაფარვის შესახებ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №178) – მომხსენებელი სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი (იხ. დანართი 4).

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – 8 დეკემბერს ჩატარდა აკადემიური საბჭოს სხდომა და განიხილეს დიპლომების გაცემის საკითხი. არიან ბაკალავრები, რომლებსაც აქვთ ფინანსური დავალიანება, რის გამოც ვერ იღებენ დიპლომს. ამან კომიკურ სიტუაციამდე მიგვიყვანა. ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტის ბაკალავრმა, სპეციალობით "სახელმწიფო მოხელე", ფინანსური დავალიანების გამო, ვერ მიიღო დიპლომი. ამჟამად ფული გადაიხადა და დიპლომს ითხოვს, თუმცა დღეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არ უშვებს ამ სპეციალობის ბაკალავრს. ასეთი უხერხული სიტუაციის თავიდან ასაცილებლად აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება, სტუ-ის საბაკალავრო სწავლების სტუდენტებზე, რომლებსაც დახურული აქვთ სრული კურსი და არ აქვთ გადახდილი თანხა დიპლომი გამოიწეროს, მაგრამ გაიცეს დავალიანების დაფარვის შემდეგ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი – ბაკალავრიატში სწავლის თანხის დაფარვის შესახებ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №178). წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 9 დეკემბრის №42 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 9 დეკემბრის №42 სხდომაზე, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილ იქნა აკადემიური საბჭოს №178 დადგენილება – ბაკალავრიატში სწავლის თანხის დაფარვის შესახებ.

***წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა* – სტუ-ის საბაკალავრო სწავლების სტუდენტებზე, რომლებსაც დახურული აქვთ სრული კურსი და არ აქვთ გადახდილი სწავლის თანხა, დიპლომები გაიცეს დავალიანების დაფარვის შემდეგ (იხ. დანართი 4).**

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მიმდინარე საკითხების ბ) პუნქტზე – 2009-2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრის საათობრივი ანაზღაურების ნიხრების შესახებ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №180) – მომხსენებელი აკადემიური საბჭოს წევრი, პროფ. გოგი აბრამიშვილი (იხ. დანართი 5).

პროფ. გოგი აბრამიშვილი – გაგაცნობთ აკადემიური საბჭოს №180 დადგენილებას:

1. 2009-2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვის მიზნით გარედან მოწვეული სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურების ნიხრები განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:
    - აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი – 4,10 ლარი საათში;
    - აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის არმქონე პირი – 3,50 ლარი საათში.
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მოწვეული პროფესორების და მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურების ნიხრები, სახელშეკრულებო დატვირთვის ზემოთ, განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:
    - სრული პროფესორი და მოწვეული პროფესორი, სრული პროფესორის სახელფასო ანაზღაურებით – 4,70 ლარი საათში;
    - ასოცირებული პროფესორი და მოწვეული პროფესორი, ასოცირებული პროფესორის სახელფასო ანაზღაურებით – 4,10 ლარი საათში;

- ასისტენტ-პროფესორი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოქტორანტი – 3,50 ლარი საათში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი – 2009-2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრის საათობრივი ანაზღაურების ნიხრების შესახებ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №180). წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 9 დეკემბრის №42 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 9 დეკემბრის №42 სხდომაზე, სტუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის, პროფ. გიორგი აბრამიშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი 2009-2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრის საათობრივი ანაზღაურების ნიხრების დამტკიცების შესახებ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №180).

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა:

1. ***2009-2010 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვის მიზნით გარედან მოწვეული სპეციალისტების საათობრივი ანაზღაურების ნიხრები განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:***
    - ***აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი – 4,10 ლარი საათში;***
    - ***აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის არმქონე პირი – 3,50 ლარი საათში.***
2. ***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მოწვეული პროფესორების და მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურების ნიხრები, სახელშეკრულებო დატვირთვის ზემოთ, განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:***
    - ***სრული პროფესორი და მოწვეული პროფესორი, სრული პროფესორის სახელფასო ანაზღაურებით – 4,70 ლარი საათში;***
    - ***ასოცირებული პროფესორი და მოწვეული პროფესორი, ასოცირებული პროფესორის სახელფასო ანაზღაურებით – 4,10 ლარი საათში;***
    - ***ასისტენტ-პროფესორი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოქტორანტი – 3,50 ლარი საათში (იხ. დანართი 5).***

სპიკერი – გადავიდეთ მიმდინარე საკითხების გ) პუნქტზე – სტუ-ის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტისთვის სახელის შეცვლის შესახებ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №183) – მომხსენებელი ჰუმანიტარულ-

სოციალური ფაკულტეტის დეკანი, პროფ. რუსუდან ქუთათელაძე (იხ. დანართი 6).

პროფ. რუსუდან ქუთათელაძე – აკადემიურ საბჭოში შევედით განცხადებით, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტისთვის სახელის შეცვლის შესახებ. იგივე განცხადებით შემოვდივართ თქვენთან. აკადემიურმა საბჭომ მიიღო დადგენილება №183:

1. დაკმაყოფილდეს ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის საბჭოს 2009 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება და სტუ-ის ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტს 2010-2011 სასწავლო წლის დასაწყისიდან (2010 წლის პირველი სემესტრი) ეწოდოს ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი;
2. შეტანილ იქნეს შესაბამისი ცვლილება ფაკულტეტის დებულებაში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი – სტუ-ის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტისთვის სახელის შეცვლის შესახებ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №183). წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2009 წლის 9 დეკემბრის №42 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2009 წლის 9 დეკემბრის №42 სხდომაზე, სტუ-ის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანის, პროფ. რუსუდან ქუთათელაძის მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილ იქნა სტუ-ის აკადემიური საბჭოს №183 დადგენილება – სტუ-ის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტისთვის სახელის შეცვლის, დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, ერთხმად დამტკიცდა:

1. ***დამტკიცდეს სტუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილება №183 – სტუ-ის ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტს 2010-2011 სასწავლო წლის დასაწყისიდან (2010 წლის პირველი სემესტრი) ეწოდოს ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი;***
2. ***დამტკიცდეს ფაკულტეტის დებულება შესაბამისი ცვლილების გათვალისწინებით (იხ. დანართი 6).***

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, სრული პროფესორი /ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი /გინა გურეშიძე/